

ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის  
N60 ბინაზე, მოქალაქე თამაზ გრიგოლიასათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N60 ბინაში მცხოვრები მოქალაქე თამაზ გრიგოლიას განცხადება /2014 წლის 05.03 Nგ-1428/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N60 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 652 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N60 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თამაზ გრიგოლიას /პირადი N60001081649/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩა N1ა საცხოვრებელი სახლის N60 ბინაზე, საერთო ფართობი 64,56 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 37,36 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,20 კვ.მ./ მოქალაქე თამაზ გრიგოლიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

შ.მურღულია